საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/10/2025

MES 2 25 0001376490

გადაწყვეტილება

„სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №957973 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №957973 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ტექნიკური ცვლილებები:

1.1. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილისა და დასაბუთების 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 მარტის №241910 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების” საბაკალავრო, “დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)” მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, “განათლების ადმინისტრირების” სამაგისტრო, "განათლების მეცნიერების” სადოქტორო, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)", "საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა) და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სააკრედიტაციო შეფასება.“

1.2. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე - 2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების” საბაკალავრო,

“დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)” მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, “განათლების ადმინისტრირების” სამაგისტრო, "განათლების მეცნიერების” სადოქტორო, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)", "საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა) და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2)".

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 16 ოქტომბრის №1353952 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა